

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის პათეარა: წარსული, აწმყო

ლეო ჩიქავა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,

ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

ვალერი ქირია

სტუ-ს ასოცირებული პროფესორი

XX

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (ამჟამად ტექნიკური უნივერსიტეტის) დაარსების ისტორია იწყება 1922 წლიდან, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა პოლიტექნიკური ფაკულტეტი. 1928 წელს თსუ-ს გამოეყო აღნიშნული ფაკულტეტი; მას შეუერთდა თბილისის რუსული პოლიტექნიკური ინსტიტუტი და ამ დროიდან ჩამოყალიბდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

მისი პირველი რექტორი იყო დავით კანდელაკი, ქართული ინტელიგენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო და აღიარებული წარმომადგენელი. იგი დაიბადა ქ. ქუთაისში, განათლებული, ქართული ტრადიციების მქონე ოჯახში. დავით კანდელაკს განათლება გერმანიაში ჰქონდა მიღებული. იგი განათლებით ეკონომისტი იყო. 1921 წელს დავით კანდელაკი დაინიშნა განათლების სახალხო კომისრად (მინისტრად).

1930 წლიდან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი გაიყო საქართველოს საინჟინრო-სამშენებლო, ამიერკავკასიის ენერგეტიკულ, სამთომეტალურგიულ, ქიმიურ-ტექნოლოგიურ, გზათა ინჟინრებისა და საინჟინრო-მელიორაციულ ინსტიტუტებად. 1932 წელს სამთომეტალურგიულ და ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტების ბაზაზე ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის სამთო-ქიმიური ინსტიტუტი. 1933 წლიდან ეს ინსტიტუტები გაერთიანდნენ საინჟინრო-სამშენებლო და ენერგეტიკულ ინსტიტუტებთან, რის შედეგადაც შეიქმნა ამიერკავკასიის ინდუსტრიული ინსტიტუტი. 1936 წელს მას ეწოდა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი. 1947 წელს ამ ინსტიტუტს შეუერთდა თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი. 1989 წლის 1 დეკემბრიდან საინჟინრო-ტექნიკური კადრების აღზრდის ამ უდიდეს კერას ეწოდება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

დაარსების პირველივე დღიდან აშკარა იყო საინჟინრო კადრების ტექნიკურთან ერთად, ეკონომიკური განათლების აუცილებლობა. ამ უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის ზემოთ აღწერილი გენეზისი გარკვეულწილად ცხადყოფს, თუ რატომაა ძნელი საარქივო დოკუმენტების მოპოვება ორმოციან წლებამდე საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ეკონომიკური სწავლებისა და ამ დარგში მეცნიერული კვლევების მიმდინარეობის შესახებ. თუმცა, იმ პერიოდის ქვეყნის მმართველობის ერთპარტიული, ტოტალიტარული სისტემა მაინც იძლევა საფუძველს გამოითქვას ზოგიერთი მოსაზრება ამ მიმართულებით.

ჯერ ერთი, კომუნისტური იდეოლოგიის მთავარი პრინციპი იყო მასებში მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების პროპაგანდა და საზოგადოების წევრთა აღზრდა ამ იდეებისადმი ერთგულების სულისკვეთება. პოლიტიკური ეკონომია განიხილებოდა როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი და ამიტომ მიჩნეული იყო, რომ მისი სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში (მიუხედავად პროფილისა) განამტკიცებდა ახალგაზრდობის ერთგულებას კომუნისტური „იდეალებისადმი“. ამიტომ, როგორც ეს საერთოდ იყო დამახასიათებელი ადმინისტრაციულ-მბრძანებლური, ტოტალიტარული მმართველობისთვის, პოლიტიკური ეკონომიის სწავლების პროგრამა ღებოდა „ერთიან ცენტრში“ – მოსკოვში, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროში. ეს პროგრამები, როგორც აუცილებელი ორიენტირი საგნის სწავლებისათვის, „ჩამოდიოდა“ რესპუბლიკების განათლების უწყებებში, ითარგმნებოდა და გადაეცემოდა უმაღლეს სასწავლებლებს. იმის გამო, რომ აკრძალული იყო ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნა და გამოცემა მშობლიურ ენებზე, ძირითადად გამოიყენებოდა ამ

პროგრამების შესაბამისად ასევე „ცენტრში“ რუსულ ენაზე გამოცემული და მშობლიურ ენაზე თარგმნილი სახელმძღვანელოები და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომები. მოგვიანებით, ჯერ მოსკოვთან შეთანხმებით, შემდგომში ადგილობრივი პარტოკრატის ნებართვით, შესაძლებელი გახდა ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნა მშობლიურ ენაზე, მაგრამ გამოსაცემად წარდგენილი თითოეული სტრიქონი ექვემდებარებოდა მკაცრ „ცენზურას“. წინ გავუსწრებთ მოვლენებს და აღვნიშნავთ, რომ ქართულ ენაზე გამოცემული პოლიტიკური ეკონომიკის პირველ სახელმძღვანელოებს შორის გამორჩეული ადგილი დაიკავა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიკის კათედრის გამგის, პროფ. რ. მელაძის ავტორობით გამოცემულმა დამხმარე სახელმძღვანელომ – „პოლიტიკური ეკონომია“ (1973 წ.).

იდეოლოგიური პრინციპებიდან გამომდინარე, პარტოკრატია აკონტროლებდა უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა, მათ შორის პოლიტიკური ეკონომიკის კათედრების უზრუნველყოფას პედაგოგ-მეცნიერთა კადრებით. საშტატო ერთეულზე ყოველი მასწავლებლის აყვანა შეთანხმებული უნდა ყოფილიყო რესპუბლიკის პარტიულ ხელმძღვანელობასთან.

ლექტორი რამდენად შემოქმედებითად მიუდგებოდა გადასაცემ პრობლემას, როგორ აარიდებდა თავს ცალკეულ დებულებათა დოგმატურ გადაცემას, რამდენად ასახავდა გადასაცემ სალექციო მასალაში ცხოვრებისეულ რეალობას, ეროვნულ თავისებურებებს და ნიუანსებს – მთლიანად დამოკიდებული იყო მის ერუდიციასა და უნარზე.

მეორე, პარტოკრატია კარგად აცნობიერებდა, რომ მომავალი სპეციალისტისთვის, წარმოების ან თუნდაც სახელმწიფოს მმართველისთვის (დღევანდელი ტერმინით რომ გამოვთქვათ, ყოველი მენეჯერისათვის) აუცილებელი იყო საზოგადოების მეურნეობრივი ცხოვრების პროცესების არსში ჩაწვდომა, მათი მეცნიერული ანალიზი და განზოგადება, ეკონომიკური კანონზომიერებების, თეორიების და პრინციპების ჩამოყალიბება. პოლიტიკური ეკონომია კი ფუნდამენტური დისციპლინა იყო, რომლის დასკვნები ყოველთვის იყო ერთგვარი „კომპასი“ მეურნეობრივი აგენტების ხელში ეკონომიკურ ლაბორინტებში გზის გასაკვლევად. სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა ჯანსაღი და ქმედითუნარიანია მაშინ, როდესაც იგი ეყრდნობა მეცნიერულად დასაბუთებულ ეკონომიკურ თეორიას, სიახლეთა შემცველ რეკომენდაციებსა და წინადადებებს.

ეს ორი ძირითადი პრინციპი ელო საფუძვლად საბჭოთა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში ჯერ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების, ხოლო შემდეგ პოლიტიკური ეკონომიის, როგორც სასწავლო დისციპლინის სწავლებას.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრა, როგორც დღევანდელი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის ეკონომიკური თეორიისა და ბიზნესის მართვის მიმართულება, პოლიტიკური ეკონომიისა და საბჭოთა მეურნეობის თეორიის კათედრის სახელწოდებით შეიქმნა გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების მეორე ნახევარში. 1940 წელს მას ეწოდა პოლიტიკური ეკონომიის კათედრა. ამავე პერიოდიდან მისი გამგე ხდება რაფიელ მელაძე, რომელსაც 1945 წელს მიენიჭა დოცენტის, ხოლო 1991 წელს პროფესორის სამეცნიერო წოდება. აღესრულა 100 წლის ასაკში, 2008 წელს.

ბატონი რაფიელი იმ მეცნიერთა პლეადის წარმომადგენელია, რომლებმაც ფასდაუდებელი ამაგი დასდეს ინჟინერთა მრავალათასიანი კადრების აღზრდას. კათედრის გამგედ დანიშნვიდან ერთ წელიწადში, დიდი სამამულო ომის დაწყების პირველივე დღეებიდანვე, იგი ჩაღვა მეომართა რიგებში. მუშაობდა სამხედრო ჰოსპიტალის კომისრად. 1942 წელს, ავადმყოფობის გამო, დემობილიზებულ იქნა არმიის რიგებიდან და დაუბრუნდა ამავე კათედრას, სადაც ფართოდ გაშალა სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა. 1944 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. იყო დაუღალავი მშრომელი, ზედმიწევნით ობიექტური, პროტექციონიზმის მიმართ შეურიგებელი პიროვნება.

ბატონმა რაფიელმა ამ კათედრაზე 75 წელზე მეტი იმოღვაწა, მათ შორის 35 წელი კათედრის გამგედ. იგი იყო სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა კონფერენციების აქტიური ორგანიზატორი. დაჯილდოებული იყო მრავალი სამთავრობო ჯილდოთი.

მის გვერდით მოღვაწეობდა მრავალი გამორჩეული ადამიანი, მეცნიერული რომელთა ნაწილმა დიდი ხანია, რაც დაიმკვიდრა ადგილი ზეციურ მარადისობაში. მათ შორის კათედრას საამაყოდ დარჩა დოცენტ ალექსანდრე პაპავას სახელი. იგი, გასული

საუკუნის ოცდაათიან წლებში მუშაობდა რა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და კულტურის განყოფილების გამგედ. აშკარად გამოდიოდა ხელისუფლების მიერ გატარებული მთელი რიგი, საზოგადოებისათვის ზიანის მომტანი, ღონისძიების წინააღმდეგ. არაერთხელ დაპირისპირება თვით ლავრენტი ბერიას. არაერთგზის გაფრთხილების მიუხედავად, ბატონ ალექსანდრეს არ უღალატია თავისი მრწამსისთვის და არ შეუწყვეტია მწვავე გამოსვლები ხელისუფლების წინააღმდეგ. ამის გამო, გაათავისუფლეს ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგეობიდან და გადაიყვანეს ჯერ თბილისის კონსერვატორიის, ხოლო შემდეგ, ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად. ცოტა ხნის შემდეგ რეპრესირებულ იქნა და გულაგის ჯურღმულებში გაატარა ოცი წელი. თავიდან ამდენი არ ჰქონდა მისვლილი, მაგრამ, სასჯელის მოხდის შემდეგ, გამოგონილი მიზეზებით, ხელახლა უსჯიდნენ. გადასახლებიდან დაბრუნდა 1956 წელს, რამდენიმე ხნის შემდეგ შეუდგა ლექციების კითხვას საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრაზე. იგი იყო განათლებული, ფართოდ ერუდირებული პიროვნება, ინტელიგენტურობითა და გარეგნული შეხედულებითაც გამორჩეული ადამიანი.

პოლიტიკური ეკონომიის კათედრიდან მომავალი საინჟინრო კადრების ეკონომიკურ სწავლებას უძღვებოდნენ და ნაყოფიერ მეცნიერულ და საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდნენ აწ განსვენებული პროფესორები: ევგრაფ კანდელაკი, რაფიელ ხარბედია, იროდიონ ქვაჩაძე, ლეო ხაბურზანია, დოცენტები: იოველ ასათიანი, რუბენ არუთინოვი, ოლღა გაბილაია, დავით გაგინძე, თენგიზ გოგუაძე, ქეთევან დადიანი, აპოლონ დოჭვერი, ლავროს ენუქიძე, ომარ ზარნაძე, ავთანდილ თელია, გიორგი საგანელიძე, გივი კალანდაძე, თამარ ლაბაძე, იასონ ლალაშვილი, ილია მაცაბერიძე (ხანგრძლივი დროის განმავლობაში ასრულებდა კათედრის გამგის მოადგილის ფუნქციებს, აქტიურად მონაწილეობდა ინსტიტუტის საზოგადოებრივ ცხოვრებაში), ვლადიმერ მელაძე, ვაგან პიტოევი, არიანა პრიმო, გიორგი სურმაკა, ვაჩაგან ტერ-პეტროსიანი, ალექსანდრე ჯაფარიძე, უფროსი მასწავლებლები: თამაზ კიკიანი (ცნობილი ქართველი მოჭადრაკე) და ნიკოლოზ სახანბერიძე.

1955 წელს კათედრაზე უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე მუშაობა დაიწყო სრულიად ახალგაზრდა ეკონომისტმა ლეო ჩიქავამ, რომელსაც 26

წლის ასაკში მოპოვებული ჰქონდა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. მან აქ იმუშავა 1970 წლამდე. 1968 წ. დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა პროფესორის წოდება. 1970-1974 წლებში მოღვაწეობდა ქ. თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგედ, ხოლო შემდეგ, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკურ ეკონომიის კათედრის კოლექტივის ერთსულოვანი გადაწყვეტილებითა და რექტორატის მოწვევით. მას ისევ მოუხდა დაბრუნება თავის „მშობლიურ“ კათედრაზე, ამჯერად უკვე კათედრის გამგის რანგში.

დღემდე ნაყოფიერად მოღვაწეობენ სტუ-ს ეკონომიკური თეორიისა და ბიზნესის მართვის მიმართულებაზე პროფესორები პარმენ ლემონჯავა, ოთარ მაღლაფერიძე და კარლო ლურწყაია. პროფ. პ. ლემონჯავა სამოცდაათიანი წლების დასასრულს სამუშაოდ გადავიდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 2009 წელს იგი კვლავ იქნა არჩეული სტუ-ს ასოცირებულ პროფესორად. პროფ. ოთარ მაღლაფერიძე ყოველთვის აქტიურად იყო ჩაბმული როგორც კათედრის, ისე სტუ-ს საზოგადოებრივ მუშაობაში იყო ჯერ დოცენტი, შემდეგ მიენიჭა პროფესორის წოდება, პერიოდულად ითავსებდა კათედრის გამგის მოადგილის და კათედრის მდივნის ფუნქციებს. კარლო ლურწყაია როგორც მეცნიერი და პედაგოგი ჩამოყალიბდა ამ კათედრაზე. აქ მუშაობის პერიოდში დაიცვა მან საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. გახდა ჯერ დოცენტი, ხოლო შემდეგ პროფესორი.

ამ პერიოდში სამეცნიერო ხარისხი მოიპოვეს სოფიო წიკლაურმა და ვალერი ქირიამ. ორივე დღემდე ასრულებს ასოცირებული პროფესორის ფუნქციას. დოცენტი ოთარ გიაშვილი, რომელიც წლების განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობდა კათედრაზე, საკუთარი სურვილით განთავისუფლდა სამუშაოდან. ასევე საკუთარი სურვილით წავიდნენ კათედრიდან ახალგაზრდა მასწავლებლები – ვახტანგ ბერიშვილი და თამარ მესაბლიშვილი, რომლებიც თანამშრომლები განაწილების წესით გახდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობით დამთავრების შემდეგ.

კათედრას მუშაობაში აქტიურად ეხმარებოდა სასწავლო კაბინეტი მისი გამგის, აწვარდაცვლილი

თამარ ხუციშვილი, თანამშრომლების ნინო ახოზაძისა და თამარ ტატიშვილის შემადგენლობით, რომლებიც დღეს, სამწუხაროდ, ცოცხალთა შორის აღარ არიან.

სამოცდაათიანი წლების დასაწყისისათვის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრა იყო ერთ-ერთი უდიდესი (70-მდე საშტატო ერთეულით) არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

მოგვიანებით, სამწუხაროდ, ამ მრავალრიცხოვან კოლექტივში დაიწყო კინკლაობა, დაიხლართა ინტრიგები, საქმე რამდენადმე აირ-დაირია. უკიდურესად დაიძაბა ურთიერთობა კათედრის გამგესა და ცალკეულ წევრებს შორის. ვითარების ნორმალიზებისთვის საჭირო გახდა ქმედითი ღონისძიებების გატარება. ხანდაზმულობის გამო პროფ. რ. მელაძეს აღარ შეეძლო კათედრის მართვა და წინააღმდეგობა არ იყო მართვის სადავეები გადასცემოდა ახალგაზრდა, პერსპექტიულ მეცნიერს. ასეთად მიჩნეულ იქნა პროფ. ლეო ჩიქავას კანდიდატურა. როგორც ზემოთ აღინიშნა, კათედრის გადაწყვეტილებით და ინსტიტუტის ხელმძღვანელობის შეთავაზებით, კათედრის გამგის თანამდებობაზე არჩეულ იქნა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლეო ჩიქავა, რომელიც მოვალეობის შესრულებას შეუდგა 1974 წლის 1 სექტემბრიდან და იმუშავა 1983 წლამდე, სამუშაოდ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სისტემაში გადასვლამდე.

კათედრაზე სწრაფად აეწყო სამეცნიერო, პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობა. კათედრის სხდომა ტარდებოდა ორ კვირაში ერთხელ. ასევე ორ კვირაში ერთხელ იმართებოდა თეორიული და სასწავლო-მეთოდური მუდმივმოქმედი სემინარის მეცადინეობა. კათედრის სხდომებზე წინასწარ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად განიხილებოდა არა მარტო მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის გეგმით შესრულებული წლიური ნაშრომები, არამედ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხებიც. მაღალ დონეზე იდგა ლექცია-სემინარებზე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების საკითხიც და მისი შედეგების საჯარო განხილვა. კათედრის გამგე თავად, ან რომელიმე წევრთან ერთად, სისტემატურად ესწრებოდა ლექციებსა და სემინარებს. დასწრების შედეგების ღრმად და საფუძვლიანად განხილვამ განაპირობა კათედრის წევრთა ძალისხმევის მაქსიმალური მობილიზება უფრო უკეთესი მოღვაწეობისთვის.

ასეთივე დონეზე მიმდინარეობდა წლიური მეცნიერულ-კვლევითი ნაშრომების განხილვა და მიღება. ზოგიერთ ნაშრომს კათედრის გამგე ეცნობოდა წინასწარ, ოფიციალური რეცენზენტის პარალელურად და მისი ავტორიანობის შესახებ მოსაზრებებს მოახსენებდა კათედრას. ზოგიერთს კი ეცნობოდა სხდომის მსვლელობისას (ვიდრე რეცენზენტი გააცნობდა კათედრას რეცენზიას) და იქვე პოულობდა ნაკლს, რაც დიდ უხერხულობაში აგდებდა ავტორსაც და რეცენზენტსაც. ყოველივე ამის გათვალისწინება, ცხადია, ხელს უწყობდა კვლევითი ნაშრომების მეცნიერული დონის ამაღლებას.

კათედრაზე მთავარი საზრუნავთაგანი იყო მაღალკვალიფიციური კადრებით მისი შევსება და კვალიფიკაციის ამაღლება. დოცენტმა შოთა ყიზილაშვილმა წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და დაიკავა პროფესორის თანამდებობა. კათედრას შეემატნენ ღვაწლმოსილი, აწ უკვე გარდაცვლილი პროფესორები მიხეილ (ვახტანგ) კახეთელიძე და ოთარ ტატიშვილი, დოცენტები – კოტე იოსელიანი (დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, გახდა პროფესორი, შემდეგ იყო საქართველოს ქონების დაცვის მინისტრის მოადგილე), ლამარა მდივანი, ალაღინ სხეიტარიძე, კარლო შერაზადაშვილი, მზია შამყულაშვილი, გივი ჩხაიძე (ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ყოფილი რექტორი), უფროსი მასწავლებლები – ციალა ბუხსიანიძე და ნელი ჩაჩხიანი. კათედრაზე მოღვაწეობა დაიწყეს დოცენტებმა: თეიმურაზ ესიაშვილმა, ზაურ თოლორაძემ, გონერი თოფურიამ, რეგინა იაკობიძემ, გიორგი ირემაძემ, ლეონიდ ლევინმა (ამჟამად ცხოვრობს ამერიკის შეერთებულ შტატებში), შოთა მინჯორაიამ, ტატიანა პაპიაშვილმა (მას და რ. იაკობიძეს უმაღლესი ეკონომიკური განათლება მიღებული და საკანდიდატო დისერტაციები დაცული ჰქონდათ მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამჟამად ორივე მოღვაწეობს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში), ზაურ ჩქვანავამ, თენგიზ ყურბანოვმა (გადავიდა საცხოვრებლად აზერბაიჯანში), მასწავლებლებმა: ნატალია ელბაქიანმა (დამთავრებული ჰქონდა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ამჟამად მოღვაწეობს სანკტ-პეტერბურგის საფინანსო ინსტიტუტში). მასწავლებელთა რიგებს შეემატნენ (განაწილების წესით) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობის კურსდამთავრებულები, რომლებ-

საც სასწავლო პრაქტიკა გავლილი ჰქონდათ ჩვენს კათედრაზე: ვახტანგ ანთია, აკაკი გვარუცია, რევაზ გველესიანი (საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების დაცვის შემდეგ მუშაობას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამჟამად სრული პროფესორია); გელა გოგოლაძე (დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ამჟამად ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორია); ირინა გოგორიშვილი (დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ამჟამად მოღვაწეობს თსუ-ში); ივანე ვახტანგაშვილი (დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და გადავიდა სხვა სამუშაოზე); ლევან სამხარაძე, ალექსანდრე სიჭინავა (დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, იყო ჩხოროწყის რაიონის გამგებელი, მუშაობდა ბიზნესის უმაღლესი სკოლის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანად და ამავე დასახელების კათედრის გამგედ. საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს რეგიონული მართვის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, საერო ინსტიტუტის „მერიდიანი“ პროექტორად, ხოლო შემდგომში ამავე ინსტიტუტის რექტორად, სოხუმის უნივერსიტეტის შიგა აუდიტის სამსახურის უფროსად, კოლექ „ინტელექტუალის“ დირექტორად), ამჟამად სრული პროფესორია. არის სტუ-ს აკადემიური საბჭოს წევრი და ჟურნალ „ბიზნეს-ინჟინერინგის“ მთავარი რედაქტორი; ლევან სამხარაძემ, ანზორ სომხიშვილმა და ლ. ბასილაიამ საკუთარი სურვილით შეწყვიტეს მუშაობა სტუ-ში. აკაკი გვარუცია და ნატო ჩიკვილაძემ მოიპოვეს ეკონომიკის აკადემიური დოქტორის წოდება და განაგრძობენ მუშაობას ასისტენტ-პროფესორად. ნატო ჩიკვილაძე მიმართულების სწავლული მდივანაცაა. აღნიშნულ კათედრაზე წლების განმავლობაში მუშაობდა დოც. თენგიზ ქავთარაძე.

სასწავლო კაბინეტს შემატნენ ახალი თანამშრომლები: ია აშვეთია, მარინე ბალათურია, რუსუდან ელიავა, მარინე ჩიტიშვილი, მარინა და ივანე წიკლაურები, კაბინეტის გამგის, ღვაწლმოსილი მუშაკის თამარ ხუციშვილის გარდაცვალების შემდეგ, კაბინეტის გამგედ დაინიშნა ია აშვეთია. იგი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობას. შექმნა ოჯახი და ამჟამად ცხოვრობს აშშ-ში. ამერიკის შეერთებული შტატებში ცხოვრობენ მარინე წიკლაური და რუსუდან ელიავაც. მარინე ბალათურიამ დაიცვა სამეცნიერო ხარისხი, აკადემიურ დოქტორია და ამჟამად ჩართულია სტუ-ში სასწავლო პროცესში.

რაც შეეხება რუსუდან ხუციშვილს, მას მოუხდა გამგზავრება კვალიფიკაციის ასამაღლებლად უკრაინაში. სწორედ მაშინ მოხდა ჩერნობილის კატასტროფა. რუსუდანმა მიიღო რადიაციული დასხივების რამდენადმე არასასურველი დოზა, იავადმყოფა, თავი დაანება ინსტიტუტში მუშაობას და ამჟამად მუშაობს კომერციულ სფეროში.

აღსანიშნავია ისიც, რომ კათედრა, პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, დიდ ყურადღებას უთმობდა კათედრის წევრთა ურთიერთდახმობასა და ურთიერთპატივისცემასაც. იგი ხშირად აწყოდა კათედრის წევრთა გასვლას ქალაქგარეთ ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად. სასიამოვნო მოგონებად რჩება ახალი ათონის მღვიმის დათვალიერება, ბეთანიის, ატენის, სიონის, გრემის, ალავერდის, შუამთის, უფლისციხის, ზარზმის, ვარძიის და ქვეყნის სხვა ისტორიული ადგილების გასაცნობად ექსკურსიების მოწყობა. ხშირად აღინიშნებოდა კათედრის წევრთა საიუბილეო დღეები. მათ შორის დასამახსოვრებელი იყო დოცენტ ალექსანდრე პაპავას დაბადებიდან საიუბილეო თარიღის აღნიშვნა, რომელიც ჩატარდა ინსტიტუტის მასშტაბით. იუბილარის მისამართით გამოთქმული კეთილი სურვილების გვირგვინი იყო მისი გულაგელი თანასაყნის, ქართველი ხალხის საყვარელი მწერლის, ჭაბუა ამირეჯიბის მიერ წარმოთქმული სურვილები და მოფერება, მისი ახალგაზრდობიდან მეგობრისა და მცხოვანი ადამიანის მიმართ.

აქვე გვინდა ვთქვათ, რომ ზაურ ჩქვანავასა და ზაურ თოლორდავას პოეზიას იცნობს ქართველი მკითხველი. ზაურ თოლორდავა იყო ჟურნალ „ეკონომისტის“ მთავარი რედაქტორის, შემდგომში ჩვენი კათედრის ასოცირებული პროფესორის, რევაზ შენგელიას მოადგილე. ორივე ჟურნალისტთა კავშირის წევრია. ზაურ ჩქვანავა იყო გაზეთ „მარჯის“ გამომცემელი და რედაქტორი.

ასე, თანდათან, ჩამოყალიბდა ინსტიტუტში პოლიტიკური ეკონომიის საკმაოდ ძლიერი კათედრა. ფრიად საგულისხმო ფაქტია ის, რომ თავისი საქმიანობის შედეგებით 1974-1983 წლებში იგი ყოველწლიურად პირველ ადგილს იკავებდა ინსტიტუტში საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებს შორის.

პროფესორებმა ლეო ჩიქავამ, გივი ჭანუყვამ და იროდიონ ქვაჩხიამ 1979-1981 წლებში გამოაქვეყნეს პოლიტიკური ეკონომიის დამხმარე სახელმძღვანელო ორ წიგნად, რომელსაც სპეციალისტთა კომპეტენტურმა საკონკურსო კომისიამ საქართველოს უმ-

აღლესი განათლების სამინისტროს პრემია მიანიჭა. 1986 წელს რუსულიდან ქართულ ენაზე ითარგმნა და პროფესორების ლ. ჩიქავას და გ. ჭანუყვაძის რედაქციით გამოიცა ავტორთა კოლექტივის მიერ აკად. ა. რუმინცევის ხელმძღვანელობით გამოცემული სახელმძღვანელო „პოლიტიკური ეკონომია“. პროფ. ლეო ჩიქავას, დოცენტების ვ. ვალეიკოს და ვ. ქირიას ავტორობით გამოიცა „პოლიტიკური ეკონომია, დამხმარე თვალსაჩინოებანი“ (1975 წ.) და „მეთოდურ თვალსაჩინოებათა კრებული. პოლიტიკური ეკონომია“ (1979 წ.). პროფ. ლ. ჩიქავას, პროფ. ო. მაღლაფერიძის, დოც. ი. მაცაბერიძის, დოც. ლ. მდივნის, ვ. ქირიას თანაავტორობით 1976 წელს გამოიცა დამხმარე სახელმძღვანელოდ „ორგანიზაციული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხები“. არა ერთი საყურადღებო ნაშრომი გამოქვეყნდა პროფესორების – ოთარ მაღლაფერიძის, პარმენ ლემონჯავას და კათედრის სხვა წევრების ავტორობით.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრა, სხვა კათედრებთან ერთად, თანამშრომლობდა პრადის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლისა და ბუქარესტის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრებთან. ხშირი იყო თანამშრომელთა ურთიერთმიმოსვლა და ერთობლივი ღონისძიებები, საინსტიტუტო სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა.

1982 და 1984 წლებში პრადის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის შრომების კრებულში „აქტუალური პოლიტექნიკა“ გამოქვეყნდა პროფ. ლ. ჩიქავასა და დოც. ვ. ქირიას სტატიები.

სტუ-ს პოლიტიკური ეკონომიის კათედრიდან საზღვარგარეთის ამ ორ უმაღლეს სასწავლებელში იმყოფებოდნენ პროფ. ოთარ მაღლაფერიძე და დოც. ლამარა მდივანი. ინსტიტუტის ხელმძღვანელობის თანადგომით კათედრაზე ლექციების კურსის წასაკითხად მოწვეულნი იყვნენ ცნობილი რუსი მეცნიერები, პროფესორები – ნიკოლოზ კოლესოვი და ნიკოლოზ ჩერკასოვი.

ორმოცდაათიანი წლების დასასრულამდე კათედრის წევრები ხუთ წელიწადში ერთხელ იმალელებდნენ კვალიფიკაციას მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტთან, სანკტ-პეტერბურგის (მაშინდელი ლენინგრადის), კიევის, მინსკის და ტაშკენტის სახელმწიფო უნივერსიტეტებთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლე-

ბლების კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტებში. კათედრის ზოგიერთ წევრს რამდენიმეჯერ მოუხდა კვალიფიკაციის ამაღლება ამ ინსტიტუტებში, სადაც ისმენდნენ ცნობილი მეცნიერ-ეკონომისტების ლექციებს, ამზადებდნენ სამეცნიერო და მეთოდურ ნაშრომებს, მონაწილეობდნენ დამუშავებული ნაშრომების განხილვასა და სემინარულ მეცადინეობებში, ჰქონდათ საშუალება გამოექვეყნებინათ საკუთარი ნაშრომები. ამ შესაძლებლობებს აქტიურად იყენებდნენ კათედრის წევრები.

1983 წლის 1 სექტემბრიდან პროფ. ლ. ჩიქავამ მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო მუშაობის დარგში. ამასთან დაკავშირებით, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორმა აკად. თეიმურაზ ლოლაძემ სთხოვა შეეთავაზებინა შემცველელის კანდიდატურა. ასეთ კანდიდატურად შეთავაზებულ იქნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვალერიან დათუკიშვილი, რომელსაც ჰქონდა ამ გამორჩეულ უმაღლეს სასწავლებელში მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება, დაცული ჰქონდა სადოქტორო დისერტაცია საქართველოს მანქანათმშენებლობის ეკონომიკური ისტორიის საკითხებზე, ჰქონდა პროფესორის სამეცნიერო წოდება. რექტორის შეზვედრა პროფ. ვალერიან დათუკიშვილთან წარმატებული გამოდგა და 1983 წლიდან 1989 წლამდე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრის მუშაობას გამგის სტატუსით წარმართავდა პროფესორი ვალერიან დათუკიშვილი.

ამ პერიოდშიც ჯეროვან დონეზე ტარდებოდა პროფესორ-მასწავლებელთა მეთოდური და თეორიული სემინარები. განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო კათედრის შევსება კვალიფიციური კადრებით. პროფ. ვ. დათუკიშვილმა კათედრაზე სამუშაოდ მოიწვია პროფ. რამაზ ოთინაშვილი (დღეს სტუ-ს სრული პროფესორი), დოცენტები ზაალ გაგოშიძე, ლუდა გირგვლიანი (ორივე გადასულია სხვა სამუშაოზე), მერაბ ვანიშვილი, ზურაბ ვაშაძე, აწ. გარდაცვლილი ფრიდონ კაციტაძე, ლამარა მინდორაშვილი, რევაზ შენგელია, ჟუჟუნა წიკლაური. ყველანი ამჟამად სტუ-ს ასოცირებული პროფესორები არიან. მასწავლებლებიდან სოლომონ პავლიაშვილმა დაიცვა საკანდიდატო და შემდეგ სადოქტორო დისერტაციები, გახდა საქართველოს ქონების დაცვის მინისტრი, პარლამენტის წევრი. ამჟამად სასწავლო

უნივერსიტეტის „თბილისის“ რექტორია. კათედრის წევრმა ბესარიონ კინწმარიშვილმა დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მუშაობს იმავე უნივერსიტეტ „თბილისში“. სხვა სამუშაოზე გადავიდნენ პროფ. ვ. დათუკიშვილის მიერ მოწვეული მასწავლებლები გიორგი მჭედლიშვილი, თეიმურაზ ჯაფოშვილი და მარინა ცხვედიაშვილი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტის პოლიტიკური ეკონომიის სპეციალობით კურსდამთავრებულებმა ელენე მენაბდე, დალი სეხნიაშვილმა და ნაზი ჭიკაძემ, რომლებიც კათედრაზე სამუშაოდ მიიღო პროფ. დათუკიშვილმა მოიპოვეს ეკონომიკის აკადემიური დოქტორის ხარისხი და დღეს სტუ-ს ასისტენტ-პროფესორები არიან. მარინა ცხვედიაშვილის, როგორც ნიჭიერი პოეტის და მწერალთა კავშირის წევრის ლექსებს იცნობს ქართველი მკითხველი.

ამ პერიოდში სასწავლო კაბინეტში მუშაობა დაიწყო გია ბასილაიამ, მარინე გელაშვილმა და თამარ ხუცაშვილმა, რომლებიც შემდეგ სხვა სამუშაოზე გადავიდნენ.

1989 წელს, ხანდაზმულობის გამო, პროფესორმა ვალერიან დათუკიშვილმა სურვილი გამოთქვა დაეტოვებინა დაკავებული თანამდებობა.

იმ პერიოდში კათედრას შემადგენლობის მხრივ იმდენად შთამბეჭდავი ხარისხობრივი მაჩვენებელი ჰქონდა, რომ, წევრთა ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, კათედრის გამგის კანდიდატურა უნდა შერჩეულიყო კათედრის შემადგენლობიდან. კათედრის წევრებმა სარეკომენდაციოდ ჩაატარეს ფარული კენჭისყრა. ბიულეტენებში შეყვანილი იყო კათედრის სამი ახალგაზრდა წევრის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორების კანდიდატურა. კენჭისყრის შედეგად კათედრის გამგის თანამდებობის დასაკავებლად ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე რეკომენდაცია მიეცა პროფ. კარლო ღურწყაიას. 1989 წელს იგი არჩეულ იქნა ამ თანამდებობაზე.

ჩვენს ქვეყანაში პიკს აღწევდა ეროვნული მოძრაობა. ცხოვრება ადასტურებდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობას. აუცილებელი იყო გვეხელმძღვანელა მარქსისეული მეცნიერულად დასაბუთებული დასკვნებით, მაგრამ უკუგვედო უსაფუძვლო, დრომოჭმული, დოგმატური შეხედულებები.

საჭირო გახდა სასწავლო პროგრამების ძირეული ცვლილება. უნდა შეცვლილიყო საერთოდ პოლიტიკური და ეკონომიკური აზროვნება საბაზრო ეკონომიკის, თავისუფალი კონკურენციის ეპოქის

შესატყვისად. მზადდებოდა უმაღლესი განათლების რეფორმა. სიახლე უნდა შეხებოდა ყველაფერს, დაწყებული სასწავლო პროგრამებიდან და სწავლების მეთოდებიდან, დამთავრებული სტუდენტთა შეფასების სისტემით. ეს უკანასკნელი უპირველესად სამთავრობო პრეროგატივა იყო. უმაღლესი სასწავლებლების გადაუდებელ ამოცანად უნდა ქცეულიყო სწავლების ახალი მეთოდების დანერგვა და სტუდენტებისთვის ახალი, ცხოვრების რეალობის ამსახველი სახელმძღვანელოების მიწოდება, რასაც წარამატებით გაართვა თავი პროფ. კ. ღურწყაიამ. მისი ხელმძღვანელობით ითარგმნა და ორჯერ გამოიცა მაკონელი დნ. და ბრიუს ლ. „ეკონომიკის“ ოთხტომეული; ფიშერი ს., ღორნბუში ნ., შმაღენი ნ. „ეკონომიკა“, სამუელსონი პ.ა., ნორდჰაუზი ვ.დ. „ეკონომიკა“ ოთხ ტომად. თვითონ გამოსცა „ეკონომიკური თეორიის“, „ეკონომიკის პრინციპების“ და სხვა დამხმარე სახელმძღვანელოები.

წინამდებარე სტატიაში არ შევუდგებით საკუთარი თვალსაზრისის გადმოცემას იმის შესახებ, თუ რამდენად გამართლებული იყო უმაღლეს სასწავლებლებში პოლიტიკური ეკონომიის კათედრებისათვის სახელის გადარქმევა ეკონომიკური თეორიის საფუძვლების ან ამისადმი მიმსგავსებული სხვა ფორმულირებით. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მას ეწოდა ეკონომიკური თეორიისა და მარკეტინგის საფუძვლების კათედრა.

პოლიტიკური ეკონომიის კათედრა დაარსებიდანვე იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, შემდგომში კი ტექნიკური უნივერსიტეტის დამოუკიდებელი, ცალკე სტრუქტურული ერთეული, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავდა ყველა ფაკულტეტზე. უკანასკნელ პერიოდში, სტრუქტურული რეორგანიზაციის კვალობაზე, მას ეწოდა „ეკონომიკური თეორიის და ბიზნესის მართვის მიმართულება“ და გაერთიანდა ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტში (ხელმძღვანელი სრული პროფესორი ევგენი ბარათაშვილი). თავის მხრივ, აღნიშნული დეპარტამენტი ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის შემადგენლობაშია (დეკანი, სრული პროფესორი რუსუდან ქუთათელაძე).

ეკონომიკური თეორიისა და ბიზნესის მართვის მიმართულებას დღეისთვის შენარჩუნებული აქვს საუნივერსიტეტო მიმართულების ფუნქცია და სასწავლო პროცესს წარმართავს როგორც ბიზნეს-ინჟინერინგის, ისე სტუ-ს სხვა ფაკულტეტებზე. იგი მრავალპროფილიანია. უძღვება ეკონომიკური

თეორიის საფუძვლების, მარკეტინგის, მენეჯმენტის, ბიზნესის საფუძვლების, მიკრო და მაკროეკონომიკის, ეკონომიკური ანალიზის, სტატისტიკის, საბირჟო და საგადასახადო საქმის, რისკებისა და დაზღვევის და სხვა ეკონომიკური დისციპლინების სწავლებას. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის სხვადასხვა მიმართულებების და ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის (რომელსაც უძღვებოდა სრული პროფესორი გურამ ჯოლია), ყოველდღიური ზრუნვის საგანია სასწავლო პროგრამების სრულყოფა. პროფესორ-მასწავლებლები ლექციებს და სემინარებს წარმართავენ ინდივიდუალური საგნობრივი სილაბუსების შესაბამისად.

უკანასკნელ პერიოდში ეკონომიკური თეორიისა და ბიზნესის მართვის მიმართულება გაძლიერდა მაღალკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლებით. კათედრაზე მოღვაწეობდა აწვარდაცვლილი ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გივი გოშაძე. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დამსახურებული ადგილი დაიმკვიდრეს ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, სრულმა პროფესორმა ევგენი ბარათაშვილმა, ასევე სრულმა პროფესორებმა ანზორ აბრალავამ, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, გიორგი მალაშხიამ, რამაზ ოთინაშვილმა. მიმართულების ხაზით სასწავლო პროცესს წარმართავენ ასოცირებული პროფესორები შოთა ვეშაძე, ლელა კოჭლამაზაშვილი, ანზორ კურატაშვილი, ნინო ლაზვიაშვილი, ვახტანგ დათაშვილი (ახალციხის რაიონის ყოფილი პრეფექტი).

მიმართულების შემადგენლობას ასისტენტ-პროფესორებად შემოემატნენ ახალგაზრდა მეცნიერ-პედაგოგები: ნუნუ გიგაური, ვარლამ რამიშვილი, ნინო ჩიკვილაძე.

მიმართულების ხაზით მოღვაწეობენ სრული პროფესორები: როზეტა ასათიანი, დავით აფციაური, თამაზ აქუბარდია, პაატა კოლუაშვილი, უშანგი სამადაშვილი, ვახტანგ სართანია, კობა სოხაძე, მარინა ტაბატაძე, თეიმურაზ ყანდაშვილი, გურამ ყუფუნია,

ასოცირებული პროფესორები: ემზარ კაკულია, ლია კვარაცხელია, დემნა კვარაცხელია, ციალა ლომაია, მარინა მარიდაშვილი, ზვიად შანავა, ნოდარ ცანავა, გიორგი ხანთაძე, მანანა ხარხელი, ასისტენტ-პროფესორები: თინათინ აბრალავა, ნანა ბოლქვაძე, ნატო გეგენავა (მიმართულების სასწავლო კაბინეტის ყოფილი თანამშრომელი), ედუარდ კავთიძე, კარლო ლურწყაია (უმცროსი), ვლადიმერ სეხნიაშვილი, მაია სოსელია, კონსტანტინე ყიზილაშვილი, ზურაბ ჯორბენაძე. სასწავლო პროცესს წარმართავენ მიმართულების დოქტორანტები ნანი მამფორია (სასწავლო კაბინეტის გამგე) და თეონა ბაქანიძე (სასწავლო კაბინეტის თანამშრომელი).

წინა პერიოდებისგან განსხვავებით, ამჟამად მთელს უნივერსიტეტში და მათ შორის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის მიმართულებაზე სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის აკადემიური პროგრამებით.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის დეპარტამენტის ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულების მთელი შემადგენლობა მზად არის პირნათლად შეასრულოს ყველა ის ამოცანა, რასაც მის წინაშე სახავს უმაღლესი სკოლის რეფორმა და კვლევა-გააქეთებს ყველაფერს მომავალი სიანჭინრო-ტექნიკური პერსონალის საფუძვლიანი ეკონომიკური განათლების მიღებისათვის.

სამწუხაროდ, საჟურნალო სტატიაში შეუძლებელი იყო უფრო დაწვრილებით გადმოგვეცა პოლიტიკური ეკონომიის კათედრის ყოფილი და დღევანდელი პროფესორ-მასწავლებლების დამსახურება პედაგოგიურ, სამეცნიერო და საზოგადოებრივ მუშაობაში, რისთვისაც ავტორები ყველას გულწრფელად ვუხდით ბოდიშს.

რედაქციისაგან: ჟურნალი „ბიზნეს-ინჟინერინგი“ მზად არის გამოაქვეყნოს ნებისმიერი სტატია, რომელიც შეეხება სტუ-ს პოლიტიკური ეკონომიის კათედრის წარსულს, აწმყოსა და მომავალს.